| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-სებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდძეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი



დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

**ნაკვესი**

ანუ

**მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.**

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისს კარეშე ეს წიგნი ისყიდება

გორში—ს. მგალობლიშვილთან. ბათუმში—მ. ნათაძესთან.
ქუთაისს—ვ. ქილაძის მაღაზიაში. ახალციხეში—ბ-ნ ალექსი სალარიძესთან, ძველს ქალაქში.
ხონში—ნ. წერეთლის მაღაზიაში


ტფილისი, 6 ოქტომბერი

გლეხთა განთავისუფლების წესდების უკანასკნელი აზრი ის არის, რომ გლეხ-კაცი დააბინაოს თავის საკომლო (ნადელი) მამულზედ, რომელიც დებულების ოქმით ჰრგებია, და დააბინაოს ისე, როგორც ხელ-შეუხებელი პატრონი და მოსაკუთრე. ამისათვის მთავრობამ დაადგინა წესი მამულების გამოსყიდვისა მებატონისაგან და თვითონაც ფულს აძლევს სესხად გლეხს, რომ ეს გამოსყიდვა შესაძლებელ იქმნას. აი ეს ოც-და-სამი წელიწადია მას აქედ, რაც ჩვენში ყმობა გადავარდა, მაგრამ დღემდე ეს გამოსყიდვის საქმე ტაატით მიდის ჩვენში და ტფილისის გუბერნია ამ მხრით თუ ყველა გუბერნიებს უკან არ ჩამორჩა, ბევრზედ მაინც უკანა სდგას.

ამ დაყოვნების მიზეზი ბევრია და სხვათა შორის ის არის მოსახსენებელი, რომ თვითონ ეს გამოსყიდვის წესი ჯერ ვერც ჩვენს გლეხ-კაცობას გაუგია როგორც რიგია და ვერც ჩვენს მებატონესა. ამ საქმეში თითო-ოროლა მებატონის გარდა ყველა ბნელში დადის. არც მებატონემ იცის თავისი უფლება და მოვალეობა, არც გლეხმა და ამიტომაც ვერც ერთი ჰბედავს შეტოპვას ამ საქმეში, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, და ვერც მეორე. ეს ასეთი ყოფა და მდგომარეობა მეტად აბრკოლებს ჩვენში გამოსყიდვის საქმეს და გლეხიც, რომელსაც წყურვილი აქვს მამულების გამოსყიდვისა, და მებატონეც, რომელიც ჰნატრობს ამ გზით მოშველებას და მორიგებას გლეხთან, ორივენი გულხელ-დაკრეფილნი არიან, რადგანაც არ იციან, საიდამ როგორ მოუარონ თავიანთს სურვილსა და გულის ტკივილსა.

შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ერთს მაგალითს მოვიხსენიებთ ამ არ-ცოდნისას, რომელიც მეტად ჰხვანჯავს საქმესა და ხელს უცარავს მებატონესაც და გლეხსაც. მამულების გამოსყიდვის ოქმის შედგენას წესდება ვალად სდებს მებატონეს და რადგანაც მებატონეს ამისი ვერც თავი გაუგია, ვერც ბოლო, ამიტომაც თუ ვისმე სურვილი მოსვლია მამულები მიჰყიდოს თავის ნაყმევსა, მომრიგებელ შუა-კაცის ცოდნას და გამოცდილებას უნდა მიჰმართოს. აი აქ არის იგი კარგი ფონი, რომელიც ერთს ადგილას არჩობს.

მომრიგებელი შუა-კაცი ამ საქმეში თავის გასამრჯელოს მოითხოვს ხოლმე, ვითომ იმიტომ-რომ რაც მებატონეს თვითონ უნდა განოხით გაეკეთებინა, შუა-კაცს ახვევს კისერზედ და შუა კაცს აკეთებინებს. ჩვენის ფიქრით, ერთი უდიდესი მოვალეობა მომრიგებელის შუაკაცისა იგია, რომ აძ გლეხთა განთავისუფლების საქმეს თავისი სანატრელი ბოლო მოადგას და გლეხი თავის საკუთარს მამულზედ დააბინავოს. ამ უპირველეს და უდიდეს მოვალეობის აღსრულებისათვის გასამრჯელოს აღება კერძო კაცთაგან როგორღაც შეუფერებელი გვგონია.

მაგრამ მეტი იქნება აქ გამოვეკიდოთ იმის გამორკვევას თუ,—რამოდენად საბუთიანია ამ შემთხვევაში გასამრჯელოს გადახდევინება. ვსთქვათ, რომ ეს ასე უნდა იყოს, ხოლო საკითხავი ეს არის: ვის, როგორ და რა ზომით უნდა გამოერთვას ეს გასამრჯელო. ეს საკითხავი მით უფრო პასუხის ღირსია, რომ ზოგან შუა-კაცი მარტო მებატონეს ახდევინებს ამ გასამრჯელოს, ზოგან მებატონესაც და გლეხსაც ცალ-ცალკე ორ ზომად და ზოგან ერთს ზომად და ხარჯს შუა უყოფს მებატონესა და გლეხსა. ამას გარდა თვითონ ზომა გასამრჯელოსი სხვა-და-სხვა არის. ერთგან კომლზედ რვა აბაზს იღებენ, მეორეთგან თოთხმეტს აბაზს და ზოგან ამბობენ, ხუთ მანათამდინაც ადისო. არა გვგონია, ჩვენში კაცი მოიპოვებოდეს, რომელმაც გადაწყვეტით გითხრათ, რა დაუჯდება გამოსყიდვის ოქმი, რომ მომრიგებელ შუა-კაცს შეადგენინოს. ჩვენ შემთხვევა გვქონია გვეკითხნა ამ საქმესთან ახლო მდგომელ კაცთათვის და იმათაც გადაწყვეტილი ამ საგანზედ არა სცოდნიათ-რა: ზოგს ერთი უთქვამს, ზოგს სხვა.

ამისთანა მარტივ და სადა საქმეში, როგორც გასამრჯელოს გადახდევინებაა, კაცს რომ ვერა გაუგია-რა, რა უნდა გაიგოს იმ რთულს ფორმალიზმობაში, რომელსაც ითხოვს მამულების გამოსყიდვის რთული საქმე. ჩვენ ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ არა ერთს და ორს მებატონეს, თუ გლეხს შემოუჩივლია ჩვენთვის, ამაზედ სიტყვის ჩამოგდების დროს, რომ არ ვიცით გამოსყიდვის ოქმი ბევრი დაგვიჯდება, თუ ცოტა და ამიტომაც საქმისათვის ხელი ვერ მოგვიკიდნიაო.

სასურველია, რომ **Губернское по крестьянскимъ дѣламъ присутствіе**-მ ყურადღება მიაქციოს ამ გამოურკვევლობას და ყოველთა საცნობელად გამოაცხადოს, გამოსყიდვის ოქმის ხარჯი: 1) ვის უნდა გადახდეს მებატონეს თუ გლეხსა ცალ-ცალკე, თუ ორივეს ერთად და 2) რა ზომით უნდა გადახდეს. ამ გზით მომრიგებელ შუა-კაცსაც სამდურავის მიზეზს მოაშორებენ და მებატონეს და გლეხსაც ღონის-ძიებას მისცემენ თავიანთი საქმე წინადვე გამორკვეულის ანგარიშით დაიჭირონ.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 4 ოქტომბერს, აკურთხეს ველაბარში წმინდა მარინეს ეკკლესიასთან გამართულ სამრეველო სკოლის ახალი შენობა. მოწვეულნი იყვნენ მოსწავლეთა მშობლები. მოისმინეს წირვა ქართულად. სკოლის შეგირდები გალობდნენ წირვის საგალობლებს ქართულად მასწავლებლის, ბ-ნ ასათიანის, ლოტბარობით. წირვის შემდეგ შევიდნენ ახალ სკოლის შენობაში. მღვდელმა გადიხადა პარაკლისი; ყმაწვილებმა აქაც მშვენივრად იგალობეს. შემდეგ პარაკლისისა მღვდელმა წარმოსთქვა სიტყვა და აუხსნა მშობლებს სწავლის მნიშვნელობა. შემდეგ ბ-იმა მასწავლებელმა დარიგება მისცა მშობლებს ყმაწვილების შესახებ და ბოლოს სახალხო სიმღერები ამღერა ყმაწვილებსა. მშობლებმა ძრიელ ისიამოვნეს და გათავებისას ნახეს რა წარმატება თავიანთ შვილებისა, დიდი მადლობა გადაუხადეს ბ-ნს ასათიანსა.

*** დრამატიულმა საზოგადოებამ რამდენიმე პიესა დაარიგა გადასათარგმნელად ქართულს ენაზე: „Бѣдная невѣста“ და „Не все коту масляница“—ოსტროვსკისა; პირველს გადასთარგმნის ბ-ნ ი. ნ. ავალიშვილი, მეორეს ბ-ნი ა. პირიანაშვილი; „Porte martin“-ს გადასთარგმნის ბ-ნი ვ. სულხანაშვილი; „Бѣшенныя деньги“, ოსტროვსკისა—გადასთარგმნის თავადი რ. ერისთავი; „Школьный учитель“, ვოდევილია, გადასთარგმნის იგივე; „Ширъ-Али“, სპარსულიდამ გადმოღებული ახუნდოვის მიერ, გადასთარგმნის ბ-ნი აკაკი.

*** ამას წინად კოლოლთალის მეიდანზე მილის-წყლის ბოძს გაჰფუჭებოდა ზევითი კრანი, საიდამაც თულუხები იღებენ წყალსა. რაკი ზევითი კრანი გაფუჭდა, ქვევითა კრანიდამ აღარ ავსებინებდნენ თულუხებს

## ფელეტონი

### თალლაურა

ნაწილი მეორე*)

IX

მინდვრით დაიძრა ფრინველი,
ცას ჰფარავს იმათ გრილია;
საფშაოდ გამოქევქევდა
თალის ნიავ-წერილია.
ველარ გაიძლო, სურვილმა
გამოიტაცა მთისამა;
ჩქარ-ჩქარა ნახვის წყურვილმა
იმ თავის მიწა-წყლისამა.
აღმოსავლეთით მოვალის,
დასავლეთისკე დაჰმართა;
ილტოურაიც შორს დარჩა,
იორზედ შამოემართა.
ჭალაზედ დაქსაქსულიყო,
მდინარეს მოჰმატებოდა;
მოჰქონდა ქვა და ნათოსი,
ქოთობდა, იდორბლებოდა.
არ ალოდინა, დეზი ჰკრა,
საცა ჰხვდა, გამოაცურა;
შამოაველივენა ჭალანი,
შინათკე გამოაშურა.
ჯერ კი არ ამომხდარიყო,
მზე გორის იქით ცხრებოდა;
ბარად ჩაყრილი ღურბელი
მთას წასვლად აიყრებოდა.
დაეყვ-მოეყვათ თავები,
მთა-გორებს მოელაშქარა;
პირ-დაბანილთა ცა-მყართა
თმებ უკვენ გადაეყარა.
წვიმას, ბუნების სახსარსა,
ყველა გაეხარებინა;
ჩირთი, ყვავილი, ბალახი
სასწერით შაესწორებინა.
ვაშლი, სხალი და ტყემალი
დაბლა ებურა ჭალასა;
მაღლა ეთოვლათ ყვავილი,
მიწას აბერტყდენ ლალასა.
ღმერთმანი, სადმე ჰნახავდი
ლერწამსა, მინდვრის ჩალასა!
გალმა-გამოღმა გორები
მიდიან, იძაბებიან;
ზოგნი-კი ჩამოწოლილან,
ივრის წყალს დაჰწაფებიან.
გვერდით-გვერდს, პირით-პირამდე
ხშირის ტყით შაპყრობილიყო;
ქუჩი ბექს, ვარდი ხევ-ხუვსა,
ჩირთი მთას მიწურვილიყო.
გუგულის კაბა[21]) ჰყვაოდა,
დილა გონს ჩავარდნილაო;
საჩრდილო ნამში ჰცურავდა,
პირმზითი[22]) შაბერტყილაო.
გაცრეცილს სილამაზესა
უხდება სიხარულია;
საცოლე მთაში მიჰყვანდა
ბუნებას გაზაფხულია.
მთა-ბარს სრულ გადაჰწდომიყო
დედუფლის კაბა სრაველი[23]),
ზედ იყო ბევრი ყვავილი,
ია, ენძელა მრავალი.
ფურისულასა ჰშვენოდენ
საცმელნი ატლასისანი;
გაზაფხულს გამოჰყოლოდენ
მაყრები ზღვის პირისანი.
ბევრი დაუწვავ ამათში
სურვილსა დედოფლისასა:
მიჰყავისთ, ველარა ჰპახვენ,
ვაი გულს ერთგულისასა!
პირში ვერ ეუბნებიან
თავის გულისა ვარამსა;
ლექსებში კაფიაობენ
დარდსა, გულისა მპარავსა.
„წვიმავ, დაწვიმე, დაწვიმე,
წიპრია[24]) არის ლხინშია:
მოდი, რო გნახო თვალითა,
არ მოვკვდე მოლოდინშია“.
ხევი აევსო ათასსა
უცნაურს ჩიტის ენასა:
გალობას, მღერას, ჰიკჰიკსა,
ლაღს და მწუხარე სტვენასა.
შაშვი რცხილაზედ დამჯდარა,
ტკბილს საგალობელს გალობდა;
მოესხა შავი ნაბადი,
კოჰებს-კი არ უფარობდა.
გალობით ცასწავალამა[25])
ღმერთი ადიდა წინ-წინა;
ითმინა თალლაურამა,
მერე-კი დაილილინა:

X

1

თოვლი დაუდნავ სიცხესა,
გული დარდს შაუჯერებავ;
მართლა გხედავთა თუ არა,
მთებო, ვერ დამიჯერებავ.
შორსა ვარ, გული აქ არი,
მიენატრი თქვენსა მნახველსა;
თუ დაგინახეთ თვალითა,
დიდება უფლის სახელსა!
რო დაგინახავთ, ვაჟკაცსა
ბალღურად გამიხარდება;
სიციევე იყოს დამცხება,
ავდარი გამიდარდება,
ავად ნამყოფი მოერჩები,
აღმართიც გამივაკდება.

2

რასა ჰგავ ადამიანი
სიცოცხლის ფერობაშია?
სისხლის და სამარის მეტი
რა ენახე ჩემობაშია?
ვერ გაძლა წუთი-სოფელი
ვაჟკაცის მტერობაშია!
ბევრიც ვაჟობდეს, ლაღობდეს,
დიდხანს არ უნდა ლოდინი:
დღეს არის გორის მდრეკელი,

*) იხ. „ივერია“ № 205.

[21]) ლაჟვარდი ყვავილია.

[22]) პირმზითი—ადგილი, რომელსაც მზე პირდაპირ უცქერის.

[23]) სრაველი—ძრიელ ტურფა და ძვირფასი (წმინდა პურსაც-კი ეძახიან სრაველს).

[24]) წიპრია—მზეწვია.

[25]) ცასწავალა—მთის ტოროლა.

და ერთი კიჟინა-დავიდარაბა ჰქონდათ. კარგია, ამისთანა შემთხვევისათვის რაიმე დარიგება გასცეს გამგეობამ, რომ ტყუილ-უბრალო ჩხუბსა და დავიდარაბას ადგილი აღარა ჰქონდეს ხოლმე.

*** კვირას ჭიდაობა იყო გამართული; იჭიდავეს გლდანელმა და ესებუამ. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ესებუამ სძლია გლდანელს. წმინდა შემოსავალი ყოფილა სამოცი თუმანი, რომელიც შუაზე გაუყვიათ ესებუასა და გლდანელს.

*** მირზოევისეულ ფაბრიკამ აქამდის უსაქმურად დარჩომილ მუშათა სასიამოვნოდ დაიწყო მუშაობა ორშაბათიდამ.

*** კვირას, 4 ოქტომბერს, იყო ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიის წლიური ანგარიში, საიდამაც, რუსულ გაზეთების ჩვენებისამებრ, სჩანს, რომ ჩამომავლობით შეგირდები არიან: 46½% რუსის ყმაწვილი, 30% სომხისა, 11% ქართველისა; დანარჩენი ზოგი ნემეცია, ზოგი პოლიაკი, ურია და სხვანი.

*** გაზ. „Нов. Обоз."-ს აცნობებენ, რომ რამდენსამე მკურნალს, ბ-ნ თოფურიას მოთავეობით, განუზრახავთ გამართონ ქუთაისში სამკურნალო გარეშე-მოსიარულეთათვის.

*** იმავე გაზეთში მოყვანილია ტფილისის საქალაქო შემოსავალ-გასავალი. ამ წლის სექტემბერს შემოსავალი ყოფილა 31,102 მ. 59 კ., ასე რომ სულ ამ წელს 1 იანვრიდამ 1 ოქტომბრამდე შემოსულა 690,596 მან. 98 კაპ. სექტემბერში დაიხარჯა 83,726 მან. 84 კაპ. 1 იანვრიდამ 1 ოქტომბრამდე სულ იყო გასავალი 703,347 მან. და 4 კაპ.

*** ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი ძალიანა ჰსაჭიროებს მორწყვას. ამაზედ მთავრობამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება, დანიშნა მცოდნე კაცები, რომელთაც გამოიძიეს საქმე და წარადგინეს თავიანთი მოხსენება, საიდამაც სჩანს, როგორც ვკითხულობთ გაზ. „Моск. Вѣд."-ში, რომ ხსენებულ ნაწილის მოსარწყავად უნდა გაიჭრას არხები სიგრძით სულ 4,500 ვერსტიო. ეხლა ამ საქმის განსახორციელებლად შედგენილია პროექტი, რომელიც უნდა განიხილოს მთავრობამ მოკლე ხანებში. აგრეთვე აღმოჩენილ უნდა იქმნას ფული, რომელიც დასჭირდება ამ მაღალ-მნიშვნელობიან საქმესა.

## ტფილისის ქალაქის საბჭო

(5 ოქტომბრის კრება)

ამ კრებამ შვიდი სხვა-და-სხვა საგანი განიხილა. ამათ შორის ბევრად თუ ცოტად საყურადღებო იყო გამგეობის მოხსენება ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში სტიპენდიების დანიშვნის თაობაზედ სხვა-და-სხვა პირთა შემოწირულ ფულებიდამ.

როგორც აღმოჩნდა ამ მოხსენებიდამ, სხვა-და-სხვა პირთ შემოუწირავთ სხვა-და-სხვა დროს ფულები, სულ ათას თუმანზედ მეტი, ასე რომ ამ ფულებზედ ნაანგარიშევი სარგებელი ორმოც-და-ათ თუმანზედ მეტია. აი, ეს ფული, გამგეობის აზრით, უნდა გადაიდვას ცალკე თანხად და აქედამ საჭიროებისადა გვარად ქალაქის სამოსწავლო კომიტეტის დადგენილობის მიხედვით შემწეობა სახელოსნო სასწავლებლის უმეტესად გაჭირვებულს მოსწავლეთა და არა სტიპენდიად დაენიშნოს მოსწავლეთა, რადგანაც ისინი არც სწავლა-მუშაობისათვის იხდიან რასმეს და არც სადილისათვის.

ბ-ნი თამამშოვი. შემომწირველთ რაიმე პირობა ხომ არ დაუგალებიათ, როცა ფულებსა სწირავდნენ სასწავლებელს?

ბ-ნი პაპოვი (გამგ. წევრი). გარდა ორისა—კნეინა გაგარინისა და ბ-ნის აბესალამოვისა,—არც ერთს არავითარი პირობა არ დაუდვიათ. ამ ორთა სტიპენდია დამტკიცებულია ბ-ნის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ და იმის მიხედვით ისარჯება კიდეც.

ბ-ნი თამამშოვი. ჩემის აზრით, ესე ემჯობინებოდა ამ შემოწირულ ფულების მოხმარება: უკეთესი იქნება, ეს შეწირულებანი ვაგროვოთ სადმე ბანკში და, როცა კარგა ბლომად შეგროვდება, თვითონ სკოლას მოვახმაროთ—მივუმატოთ შენობა, გავადიდოთ სახელოსნო და სხვა. ამ სკოლაში მოსწავლენი მუქთად იზრდებიან, მუქთად სჭამენ და სმენ და კიდევ სტიპენდიები დავუნიშნოთ? ეს მეტის-მეტი იქნება. თუ ისე მოვიქცით, როგორც მე მოგახსენებთ, მგონი, ვერავინ გვისაყვედუროს.

ბ-ნი ევანგულოვი. განიხილა ეს საგანი სასკოლო კომიტეტმა, თუ არა?

ბ-ნი იზმაილოვი. არა.

ბ-ნი ევანგულოვი. ჩემის აზრით, ჯერ ამ კომიტეტმა განიხილოს ეს საგანი, წარმოსთქვას თავისი მოსაზრება და მერე საბჭოს წარმოუდგინოს.

ბ-ნმა თავ-მჯდომარემ უპირველესად ეს საკითხავი დაადგინა; საბჭომ ერთხმად მიიღო ბ-ნის ევანგულოვის წინადადება.

მეორე საყურადღებო საგანი იყო სათხოვარი მათეოსისა და ავეტიქა მალეროევებისა, გრიქორ ავთანდილოვისა და სხვ. იმის თაობაზედ, რომ ქალაქის ადგილის (ავლაბარში) ესლანდელი იჯარადარი, რომელიც გაჯს იღებს, გადაყენებულ იქმნას და ეს ადგილი გადაეცეს მთხოვნელთ.

თავის სათხოვარში მთხოვნელები ამბობდნენ, რომ ეს ადგილები ჯერ კიდევ ამათ პაპათ ჰქონდათ ხელში გაჯის ამოსაღებად, თავდა პირველად უფასოდ და მერე ათის წლის განმავალობაში ქალაქის სასარგებლოდ იხდიდნენ ას ოც თუმანს წლიურად. მაშინ ურემი გაჯი 2 და 3 მანეთი ღირდაო და ეხლა-კი ოთხ აბაზად ძლივს იყიდებაო. ამისათვის ორ უკანასკნელ წლის იჯარა ვერ გადავიხადეთ და ამასთანავე წინად რომ სრულად ვიხდიდით იჯარას, იმის გამოც კილო დაგვაწუდა თავსაო. არავითარი საშუალება არა გვქონდა, უკანასკნელის 1885 წლის გადასახადი მიგვეცა ქალაქისათვის, და ამიტომაც ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ჩვენი გირაო ორმოცი თუმანი ქალაქის სასარგებლოდ ჩაერიცხათ, და ჩვენ-კი უარი გამოგვიცხადა იჯარადრობასა. ამას შემდეგ ბევრი ვეწვალეთო, ამბობდნენ მთხოვნელები,—ბევრა ვეხვეწეთ გამგეობას, რომ დაგვკლოთ იჯარის ფასი და ისევ ჩვენთვის გადმოეცათ, რადგან სრულებით უღუკმა-პუროდ ვრჩებოდით თითქმის ასი სული.

შარშან, 1886 წელს, ქალაქის აგენტი, ბ-ნი შაჰბუდაღოვი, დაგვპირდა დახმარებასა და კიდევაც გამოგვიცხადა, რომ გამგეობა თანხმდება სამოც თუმანზედაო. იმ დროს ჩვენ ფული არა გვქონდა და დავუსესხეთ აკოფა მელიქოვს ეს ფული, რომ ამ 1887 წლისა სრულად მიგვეცა წინ-და-წინვე გამგეობისათვის. მელიქოვმა გაიგო თუ არა ეს, მივიდა გამგეობაში და თვითონ მარტო აიღო ამ ფასად ეს ადგილი იჯარით და ამ გვარად ხელ-ფეხ-შეკრული დაგვრჩით. მელიქოვი გვიშლის საქონელი გავუშვათ იმ ადგილებში, რადგან თვითონ უვლის იალაღს, და გაჯის ამოსაღებად ისეთს ფასსა გვთხოვს, რომ ერთი ხუთად გვიჯდება წინანდელზედ.

ამ მიზეზების გამო მთხოვნელები სთხოვდნენ საბჭოს, რომ მელიქოვს ჩამოერთვას ის ადგილი, რომელსაც მთხოვნელები და მათი მამები იჯარით ჰფლობდნენ ათს წელიწადზე მეტი, და ისევ მათ გადაეცეს იმ პირობით, რომ ხელახლავ დაათვალიერონ და დაფასებისადა გვარად დაენიშნოთ გადასახადი. სამოვარი-კი თავისუფალი იქნას როგორც მათის, ისე ქალაქის საქონლისათვის. ამას გარდა მთხოვნელები იმასაც ამბობდნენ, რომ ამ საქმეს ადგას თითქმის ასი კომლი, ამით ვიკვებებით და, თუ ეს საშუალება გამოგვეცალა ხელიდამ, შიმშილით დავიხოცებით, რადგან სხვა საქმე არა გვცოდნიაო.

გამგეობა იმას ამბობდა, რომ იჯარადრები გადაყენებულ იყვნენ, რადგან ფული არ შემოიტანესო. 16 ივნისს 1884 წელს გამოცხადებული იყო, რომ 25 ივნისს ვაჭრობით გაიცემა ის ადგილებიო. რადგან ორმოცი თუმანი შემოიტანეს, ვაჭრობა მოიმალა. ამას გარდა გამგეობამ გაუნაწილა საიჯარადრო ხვედრის ფულის შემოტანა. 11 ნოემბერს 1885 წელს იჯარადრებს ჩამოერთვა ადგილები, რადგან ფული არ შემოიტანეს და გირაო ფული გადარიცხულ იქმნა ქალაქის შემოსავლად. 26 ნოემბერს დანიშნული იყო ვაჭრობა და არავინ გამოცხადებულა. კიდევ დაინიშნა ვაჭრობა 2 მაისს 1886 წლისას. გამოცხადნენ მათეოს მალეროვი და ბოქაული გრიქორ ავთანდილოვი. ამათ ცალკ-ცალკე არ უვაჭრიათ, გარდა არ წარმოუდგენიათ და პირველმა ამათგანმა შემოგვთავაზა სამოცი თუმანი წლის ფასი. გამგეობამ მაინც არა სცნო ვაჭრობა გათავებულად. ჯერ კიდევ ამ ვაჭრობის დღემდის, 6 თებერვალს, ი. ს ნიკო დიასამიძემ თხოვნა მიაცა გამგეობისათვის, ორის წლით მომეცით ეს ადგილები წელიწადში ოთხმოც თუმნადაო, მაგრამ ეს თხოვნა უყურადღებოდ დაუტოვებია გამგეობას. 11 ივნისს 1886 წლისას მიეცა მესრობოვს ერთის წლის ვადით 160 დღიურით, ე. ი. თითქმის ერთი მესამედი იმ ადგილებისა ორმოც თუმნად. 1 თებერვალს 1887 წ. ხელ-შეკრულობითვე ეს ადგილი მთლად მიეცა 1890 წლის 1-ლ თებერვლამდე მე-2 გილდიის ვაჭარს აკოფა მელიქოვს ას ოც თუმნად წელიწადში და ის 160 დღიური, რომელიც მესრობოვს უჭირავს, გათავდება ვადა თუ არა, გადავა მელიქოვის ხელში. ამ ადგილებიდამ მელიქოვმა მხოლოდ გაჯით უნდა ისარგებლოს.

ამ საგანზედ დიდი ლაპარაკი ჩამოვარდა ხმოსანთა შორის. ბ-ნი მ. თამამშოვი ამტკიცებდა, რომ ეს საქმე ბევრად წააგავს იმ საქმეს, რომელიც ამას წინად განიხილა საბჭომ, მაგრამ საბჭოს სამწუხაროდ ისე არ მოეკიდა მას, როგორც მოსალოდნელი იყოვო (ავლაბრელების საქმე). როგორც სჩანს, ერთი და იგივე ხელი ჰმოქმედობს ორსავე საქმეში. ჩვენს გამგეობას ბევრი საქმეები აქვს, ამიტომაც სად გასწვდეს ყველაფერს და შესაძლოებელია, აქაც ვერ შეხიდა ის, რაც დიდად საჭიროა ვიცოდეთ ამ საქმის განხილვის დროსაო. ამისათვის ბ-ნი თამამშოვი ითხოვდა დაენიშნათ კომისია, რომელსაც უნდა განეხილოს ყველა გარემოება ამ საქმისა და მოეხსენოს საბჭოსაო. ამ აზრისანი იყვნენ ბ-ნნი: მიქელაძე, ევანგულოვი, ივანენკო და სხვ.; წინააღმდეგნი იყვნენ ბ-ნნი: ბებუთოვი, გარსოევი და სხვ.

საბჭომ ხმის უმეტესობით არ შეიწყნარა ავლაბრელების სათხოვარი და უყურადღებოდ დასტოვა.

ა. ღ—მე

## წერილი ქუთაისიდამ

### ქუთათური-ქუთათურად

### V

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს საბჭოშიაც ის წესია შემოღებული, რაც სხვაგან, ე. ი. ისე არც ერთი ცოტადი შესამჩნევი რამ ქალაქის საქმე არ გარდაწყდება, თუ კი იმის შესამუშავებლად ჯერ „კომისია" არ აირჩიეს. აი, წარმოადგინეს რომელიმე წინადადება. „ავირჩიოთ კომისია, რომ მან მოგვახსენოს თავისი აზრიო". „ძალიან კარგიო",—გაიძახის ხმოსანი,

---

ხვალ უგავ მიწის ლოგინი.
მიწაა ჩვენი ერთგული
და ჩვენი დიდი მტერიცა;
იმასვე ესაყვარლება
პატარუნელა მწერიცა.
განა შირაქში რა მაკლდა,
ცხვარი-კი უსარგებლოა?
თორო რა ბედენა არის,
მითომ სრულ საქართველოა?

3

შენაც მიყვარხარ, იორო,
შენ ვერა შაგედარება:
ჰმდინარებ, იდენ მუდამა,
რა ცხენი დაგედალება?
ხმლით ვერას გამოგრჩებიან,
ტყვია არ მოგეკარება;
აჰდიდდე, შენი ღრიალი
დევთა ხმას გაედარება.
შენი დაკვლევა მაშინა
როსტომსაც შაეზარება;
დაჰწმდები—ისევ მადლი ხარ,
სულიერთ გაეხარება;
ახრჩობდე, მაინც კარგი ხარ,
მადლი არ დაგეცარება;
ნეხვ-მწურეს[26]) არას გაირევ,
ზადი არ მოგეკარება.
დამსუდროს შენმა ღვრიალმა,
შენ კალთამაც დამეფარება!
ჩემი სიკვდილის შემდეგა
ლეშიმც შენ მოგებარება!

4

არ მინდა ჩემი უსულო
გვამი მიწაში ლპებოდეს;
სისხლ-ხორცი, თმა-წვერ-ულვაში
ერთურთში აირეოდეს.
მოიდეს წითელი გველი,
ჩემს გულში ებუდებოდეს;
ჩემი მოსისხლე, დუშმანი,
ჩემის სისხლ-ხორცით ძღებოდეს.
რო გაძღეს, თავი აიღოს,
ხმა-მაღლა გაიცინოსა;
გადახტ-გადმოხტეს, დამკვლიოს,
ჩემს გულზედ დაიძინოსა!..
მე მინდა გადავეყვებოდე
ტალღათ მდინართა წყალთასა;
წამიღონ, ეთელებოდენ[27])
ძირთა მთათა და ბართასა.
ვიდრე ვარ, ვიარებოდე,
ვაწყდე გვერდთ ჯებირ[28]) ქვათასა;
ჩამოვიშალო, ჩამოვწყდე,
გავხდე საჭმელად თევზთასა.

5

ანუ აიქამც მოვკვდები,
საცა მინდა და მწადიან;
საბგლად რო ჰყრია ხევები,
მთები ზეცისკე ადიან.
საცა გამზარდა დედამა,
და ძუძუ უწოვებია;
საცა ცხვრის ფარა მყოლია,
ჯოგები მიძოვებია.
აიქამც გადამაგდებენ,
ზვავ როა საქუხარადა;
ირმის ხრო საიალახედ,
მგლის ჯოგი საყუარადა;
სვავნი მზის ყუდროს სათბობლად,
ყორნები საბუდარადა!

6

ნეტავი ნატრა-ცხადა მქნა,
ნანატრო აჰცხადდებოდი:
მუდამც ჭაბუკად მამყოფა,
ნეტამც არ დავბერდებოდი!
ვიდრე ვარ, ასე მამყოფა,
ამავ ჯანზედ და გულზედა;
და თუნდა უადრე მოვკვდე
ღვთისაგან განგებულზედა.
მიყვარს ვაჟკაცის სიკვდილი,
ჯერ რო არ იყო დროული;
სუყველას დაენანება
უდროოდ გამორჩეული.
მთელი ქვეყანა იგლოვებს,
მტრებიც-კი შაიბრალებენ;
მაგრამ ბერ-კაცის სიკვდილზე
მრავალსაც გაიცინებენ.
რატო არ უნდა მიყვარდეს,
როცა ვაჟკაცი კვდებაო:
დიდხან ნამალი ცრემლები
მაშინის გამოჩნდებაო.

7

ნეტავი ცოტახან მამკლა,
დღე მამიცვალა ღამედა,—
ვნახო, რას იზამ მაშინა,
შენს პირზედ შამომახედა.
ჩვენს ან გაცნობას რა ერქვა,
ან სიყვარული რა იყო?
მე ჩემთვის დავრჩი, შენ შენთვის,
პეპელა ქარმა წაიღო!
მართალი უთქომთ ჰკვიანთა,
ფიცხლავ ენაზე მამივა:
‹ცუდთა ნუ ჩაჰდევ პეპელთა:
გაგიფრინდება, წაგივა;
არც ხორცი გამოგადგება,
არც ტყავი ფასად გაგივა›.
დახედე დავიწყებული
დროება მაგონდებაო:
ვინაც მიყვარდა, ისივაც
მიყვარს და მეოცებაო;
იაათ სახლისკე ეხლაცა
გახედვა მაწადდებაო!
ოოგოოც კვლავ ისე-კი არა,
კინაღ მიმხადის ცნებაო,—
როდისაც მამაგონდება
კიდევ-კი მიამებაო.
შორს ყოფნას, ხანსა გავლილსა
ჰცოდნიათ განელებაო.
როგორ მივდევდი ერთს დროსა
თვალსა და გულის ნდომასა!
არ მინდა, ღმერთმა დაჰწყევლოს,
არ ვაქებ წოლა-დგომასა[29]):
თუ გიყვარს, ისე გიყვარდეს,
ისე ეტყოდე ძმობასა;
სიტყვაში თავაზი გქონდეს,
რაც შაუხდება ძმობასა.
სხვად ყველად ცქერაც ეყოფა
ჰეშმარიტს ვაჟკაცობასა.
ხშირად მიჰკვები, წაგახდენს,
მიგაჩვევს ცუდაობასა.[30])

[26]) მწურე—შარდი.

[27]) ეთელებოდენ—ევლებოდენ.

[28]) ჯებირი—ერთურთზედ მიდებული, მილამული ხის ნამტვრევები.

[29]) წოლა-დგომა—წაწლობა; პლატონიური სიყვარული და ერთმანერთთან წოლაა.

[30]) ცუდაობა—გასალახანავება, ზარმაცობა.

რომელიც ერთობ პირ-შავია, რომ თავის ჭკუას და მოსაზრებას ცოტა ძალა დაატანოს და ეს არა-საკომისიო საქმე აქვე, ამავე სხდომაზე გაარჩიოს და გარდასწყვიტოს.

— აბა, ვინ დავნიშნოთ კომისიის წევრებად?!

—აი, ბატონო, ა—ნი ავირჩიოთ, ასახელებენ განათლებულს, ნასწავლს ხმოსანს.

— არა, მე არ შემიძლიან, ჩემი საქმე მაქვს, არა მცალიან,—იძახის ეს დალოცვილი, თუ ამ დროს სხდომაზეა.

„არა, ბ-ნი ბ—ნი". „არა, მე შემიძლიან, სამსახური ნებას არ მაძლევს". „არა, ბ-ნი გ—ნი".

—რა საჭიროა მაინც და მაინც მე დამნიშნოთ ამ კომისიაში, როდესაც ეს საქმე უბრალო „ჩოთქის" მცოდნე ხმოსანსაც-კი შეუძლიან, რომ განიხილოს და სხვ.,—ამბობს ეს მესამე. ასე და ამ გვარად, ერთი მეორეზე მიაყოლებენ უარს. ერთი იძახის—არა მცალიანო, მეორე—ავადა ვარო, მესამე—უკადრისობს ზოგიერთ კომისიებში წევრობას, მეოთხე—სხვაგან მიედივარო და სხვა. მაშ ვინ-ღა აირჩიონ? ისევ ის მარტო „ჩოთქის" მცოდნე ხმოსნები—ვაჭართაგანნი, რომლებთა შორის ზოგმა კითხვა იცის და წერა არა და ზოგმა წერა თუ იცის, კითხვისა არა გაეგება-რა. ამის შემდეგ კარგად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ ამისთანა კომისია როგორ შეიმუშავებს იმ საქმეს, რომლისათვისაც საჭიროა სწავლა, გონების გახსნილობა, მიუდგომელობა და სხვ.

ამ გარემოებამ იქონია შედეგად ისა, რომ, როგორც ამბობენ, ჯერ თურმე **რვა წლის ანგარიში** გამგეობისა ხელ-უხლებელი დევს და საბჭოს ჯერ არ განუხილავს, მაშინროდესაც ამ ანგარიშების განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სამინისტრომ ქალაქის თხოვნებს სხვადა-სხვა შემწეობის შესახებ ყურადღება მიაქციოს. სიტყვამ მოიტანა და ამ ანგარიშების განხილვის შესახებ ერთს საარაკო ამბავს მოგახსენებთ: ხმოსნების ამ გვარ უმოქმედობის შემხედვარეს ერთს იმათ ამხანაგსავე შემოუტანია საბჭოში აზრი, რომ ამ ანგარიშების განხილვას რომ ბოლო მოეღოსო, თუ შეძლება ნებას გვაძლევს, დაუნიშნოთ კომისიას თითო ანგარიშის განხილვისათვის რამე ჯილდოო.—ეს აზრი გასულა, რასაკვირველია, და ამის შემდეგ ვინც-კი დაუსახელებიათ კომისიაში (ნასწავლთაგანი-კი არავინ!), ყველა დათანხმებულა.—ამ კომისიას გაურჩევია ერთისა, თუ ორის წლის ანგარიში, ფულიც, რასაკვირველია, მიუღია—შრომის ჯილდოდ,—მაგრამ ამ კომისიისაგან ანგარიშების განხილვის წარდგინება გამგეობას არ მოსწონებია და თავის მხრივ კომისიის მოხსენების შესახებ თავისი აზრი წარუდგენია საბჭოსათვის. ეხლა საბჭოს ამ კომისიის და გამგეობის ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგ მოხსენებათა განსახილველად ახალი კომისია—ეს-კი ნასწავლ ხმოსანთაგან—დაუნიშნავს, ეადაც მიუცია ორი კვირა, რომ თავისი აზრი წარმოადგინოს კომისიამ, მაგრამ ორმა კვირამ-კი არა, ორმა და, მგონი, სამმა თთვემაც თქვენი ჭირი წაიღო და კომისიაზე კომისიის ანგარიშს ვერა ვხედავთ... ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს კომისია თავის მოხსენებას მომავალ არჩევანის წინა დღისათვის ამზადებსო...

ღიალ, ასეთი მოქმედება, ანუ უკეთ უმოქმედობა ხმოსანთაგან ნასწავლის დასისა ქალაქის საქმეების შესახებ ძლიერ სამწუხარო მოვლენაა ჩვენში. ქუთაისის ამომრჩეველებში ეხლავე ისმის ქადაგება, რომ მომავალ არჩევანის დროს რაც შესაძლოა უფრო მეტი ვაჭართაგანი გავიყვანოთ საბჭოს წევრებადაო... „წარსულმა დაგვარწმუნა, რომ ნასწავლ ხმოსნებს არა სწამთ, არ აწუხებთ ქალაქის საქმე, არა სცალიანთ ჩვენთვისაო", გაიძახიან ისინი—და სინიდისზე ხელაღებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ბევრი ამ სამდურავთაგანი მართალი არ გვეჩვენოს.

ნუ თუ სამწუხარო მოვლენა არ არის ეს? სამწუხარო არ არის, რომ ორიოდე რაღაც „საზოგადო დაწესებულება" გვაქვს და ყველგან მოსამსახურე განათლებულ ახალგაზდობას ამისთანა სახელი აქვს დავარდნილი?! ნურავინ იტყვის, რომ ჩვენში განათლებას პატივი არა ჰქონდეს და განათლებულს და ნასწავლს კაცს არ აფასებდნენ! ნურავინ იტყვის, რომ ჩვენი საზოგადოება რომლისამე არჩევანის დროს საზოგადო სამსახურში უპირატესობას არ აძლევდეს ნასწავლს კანდიდატს! მაგრამ როგორც იგივე საზოგადოება შემდეგ ხედავს, რომ იმისგან ამორჩეული, უპირატესად ნაცნობი კაცი ვერ ამართლებს იმის იმედებს, მაშინ აღარა ზოგავს იგი ამისთანა კაცს და როგორც თავის თავს, ისე არჩეულსაც ჰგმობს და აძაგებს.—„აა, ბატონო! იძახოდით—აირჩიეთ ესა-და-ეს ახალგაზდა, განათლებულია და პატიოსანიო; არ უღალატებს საზოგადო საქმესაო, არ გაამრუდებს სინიდისსაო, ამბობდით. ავირჩიეთ, მაგრამ რას გვიკეთებს? რას წაახდენს, ან რას გაამრუდებს, როდესაც არაფერს არ აკეთებს!?" ბევრჯელ და ბევრგან გაგვიგონია ამისთანა მწარე სიმართლე და ვერაფერი პასუხი ვერა მოგვიხერხებიარა.—არ ვიცი, რა მერმისს ვუმზადებთ ჩვენს მომავალს ახალგაზდობას!..

ქუთაისელი

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქობულეთი**, 23 სექტემბერი. გვიზამთრდება, აჭარის მთები დაგვითოვლა. დღეს და გუშინ ხინოს მთებზედაც თოვლს. მადლობა ღმერთს, ავცვდა! იქნება აწი მაინც იკლოს ციებ-ცხელებამ, რომელმაც არ დაგვტოვა თითქმის არავინ გლახუ-გაუკვრელი. ჩვენ, მოსულებს, გვეშურობა ასე შეუბრალებლად, თორემ აჭარის მკვიდრნი არა თუ ციებ-ცხელებას, ზამთარსაც ჩვეულებრივის სიამოვნით ეგებებიან. ჩვენებურ გლეხ-კაცს ზამთრის მოგონებაზედ ჟრუანტელი დაუვლის ტანში. მას ეშინიან სარჩოს და პირუტყვის საკვების მოკლებისაც, შიმშილისაც, წისქვილისაც და სხვა.

ქობულეთელს ამ მხრივ არაფერი სადარდელად არა აქვს-რა; ბედს ისე მოუწყვია იმისი ცხოვრება, რომ რაც უნდა უუდარაბესი იყოს, ვერც-კი წარმოიდგენს იმ გაჭირებას, რაც ხშირად, მაღალ ხშირად ჩვენებურ გლეხს ადგას. თუმცა ქობულეთში ვერ მოიძევთ მისთანა მოსახლეს, რომ თავისი სამყოფი ტყეც და სახნავ-სათესიც არა ჰქონდეს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამისთანა მოამბოვება, და დააკვირდით მისს ყოფას. თუ მთლად ზარმაცი არ არის, ხუთ წელიწადში უნდა მშვენიერი სახლ-კარი დაიდგას და აივსოს, გამდიდრდეს ბუღრითა და ღვინით. ყველა ადგილის მეპატრონისაგან შეუძლიან აიღოს მიწა სამუშაოდ, ე. ი. ათ ურემ მოსავლიდგან მხოლოდ ერთს მისცემს ადგილის მეპატრონეს და იგი ამისათვისაც დიდი მადლიერია. მერე, როგორი ადგილია! ისეთი ადგილი, რომელიც ნიადაგ უანოზს და იძლევა არა ნაკლებ 80 ფუთისა ქცევაზედ. საქონლის საკვები ან სულ არ დასჭირდება, რადგან ზამთარი ნაკლები იცის, ან თუ დასჭირდება, მოსჭრის ჩალას, ვის ნაყანარშიაც უნდა—ვინ უშლის, და თიბოს ეს მშვენიერი თივები, რომელიც ასე ტყუილად უნდა ხალმეს, რადგან ქობულეთელს იგი თავის დღეში არ მოუხმარია და არც იცის, როგორ უნდა გათიბვა, ან შენახვა. ყანას აქ არა თუ ღობე, მეველეც არ უნდა, რადგან საქონელი ზაფხულობით მთაში გარეკილი. ტყე თუ აზოში არა აქვს, გადააბიჯებს ჭასკარზედ და მოსჭრის წიფელს, რომელსაც ან გამოუვა ერთის სახლის ასაშენი ფიცრები და ან რამდენისამე თვის სამყოფი შეშა. დაუმატეთ მშვენიერი წყაროები, რომელნიც ყოველ ნაბიჯზედ გამოჩქეფს, და მშვენიერი საწისქვილე ადგილები...

წარმოიდგინეთ, რა იქნება ეს ხეხილი, რომ ასე მოუვლელად არ იყოს მიტოვებული და მხოლოდ მაშინ არ აგონდებოდეთ აქ მისი არსებობა, როცა მოკრეფის დრო მოაწევს. ამასთან ნუ დაგვავიწყდებათ სიახლოვე ზღვისა (6 ვერსტია), რკინის გზის სადგურისა (5 ვერსტია) და თვით ბათუმისა (20 ვერსტია), რომელთანაც ერთდება გზა-ტკეცილითა. მეველებურის კაცის-კვლის და ქურდობის ხსენებაც აღარსად არის. ბეგარა ამათ არ აწუხებთ. ასე სასურველად არის ამათი ცხოვრება მოწყობილი, მაგრამ მდიდრები მაინც ვერ არიან შესაფერად ზემოხსენებულ ცხოვრების პირობებისა. ახლა და ახლა ეჩვევიან შრომას. ბლომად სთესენ ყანებს, ჰქიდიან ხილეულსა, მაგრამ იმ დრომდის ჯერ კიდევ ძრიელ შორს არიან, როცა მათ შეეძლებათ სრულიად სარგებლობა თავიანთ ბუნების სიმდიდრითა. კბილებამდის იარაღში ჩამჯდარ ქობულეთელს ხშირად ვეღარ ნახავთ ეხლა. იარაღის ადგილი დაიკავა თოხმა, რომლის ხმარებას არა თუ უბრალო კაცი, აღებიც აღარა თაკილობენ. ეს ძრიელ სანუგეშოა. მეტი წესი, მეტი სიმართლიანობა არსებობს ეხლა მათში, ვიდრე თათრის მფლობელობის დროს იყო. მათი ბედი, [illegible] ძალაუფლობის მოხელენიც წესიერნი [illegible] და ხალხიც ძრიელ მადლიერია მათი. ალბად დაიმსახურეს. სამწუხაროდ, ესევე არ ისმის ბათუმის სხვა კუთხეებიდამ.

სამწუხაროდ, ბუნება ადამიანისა ისეთია, რომ ბედით კმაყოფილი იშვიათად იქნება ხოლმე: ასრე წაღმართად მიდის ქობულეთელების საქმე და მაინც ისინი ცალის თვალით ოსმალეთისაკენ გაიყურებიან. დაუწყებ ლაპარაკს გადასახლებულთა უბედურ ყოფაზე ოსმალეთში და შენი მოსაუბრე ქობულეთელი ყოველ ხათქვამს ისეთს ხვნეშას ამოატანს, რომ გეგონება, გული თან ამოაყოლაო. ვერაფრით ვერ დაარწმუნებთ, რომ თავის დაღუპვაა ოსმალეთში გარდასახლება.

ილიკო

# უცხოეთი

**საფრანგეთი**. „Times"-ის კორრესპონდენტის სიტყვით, ერთს საფრანგეთის სახელმწიფო კაცს უთქვამს შემდეგი რუსეთისა და საფრანგეთის ურთიერთობაზე: ჩვენ დიდად ვაფასებთ საფრანგეთის და რუსეთის მეგობრობას, რადგან რუსეთმა თავის მეგობრობით გამოგვიყვანა ჩვენ განმარტოებულ მდგომარეობიდამ. ჩვენს რესპუბლიკას უოველთვის ცოდვად უთვლიდნენ ამ განმარტოებულს მდგომარეობას. ეხლა-კი ასე აღარ არის. ფრიად სასიამოვნოა, რომ ქვეყნის მართვის წესს არავითარი დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია საერთაშორისო ურთიერთობაში. მაინც ჩვენ დიდი იმედი არა გვაქვს ამ მეგობრობისა. თვად რუსეთმაც კარგად იცის, რომ ჩვენს ინტერესებს არსად არ დავივიწყებთ იმ აზრით, ვითომ რუსეთს არ ვაწყენინოთო. ჩვენი მტრები ამტკიცებენ, ვითომ რუსეთისა და საფრანგეთის მეგო-

---

XI

ნამი ჰწვიმს, ღვრები ყვირიან,
მდინარე აზეზარობდა;
გაღმა კიდურის ნაშეზედ
წანწყარა ჩაკოგმანობდა.
ბუნებას ედგა ბანაკი,
შიგ მთა-გორები ჯარობდა;
ხევ-ხუევთ ზვავები შრებოდენ,
გუგული აბდა-უბდობდა.
წინ ედვა ქალა სავალი,
სარბენიანი ჰწორია;
შორს სადმე გრილიანშია
ჩნდოდა არტნისა [31]) გორია.
უთხრა თუ: „ჩქარა, ლურჯაო,
არხალს ხარ განა არტანსა?!
რა ფეხებს მიალაწუნებ,
როგორც ბებერი არგანსა! [32])
ვერა ჰხედავა, ტიალო,
ცეცხლი ედება სახლ-კარსა?"

XII

ხევი ხევს, აღმართს დაღმართი,
მოება გორი გორასა;
ბევრი აღარა მიუდის,
ქავ-ციხე [33]) აღარ შორავსა.

31) არტანი სოფელია, საცა თაღლაურას სახლი ჰქონდა.
32) არგანი ჯოხია.
33) ციხე-გალავანი.

გაჰხედა: იმის სახლ-კარი
ყვავ-ყორნებს ჩამოეშალათ;
თავად-კი გაპარულიყვნენ,
მუქარა შამოეთვალათ.
რა ვიცი, რა-რა იფიქრა,
მწარედ-კი გაიღიმაო,
შორითვე ეცნო დედასა,
ჩამოეგება წინაო.
ცხენზედვე გადაეხვია,
ეტყოდა ცრემლის ფრქვევითა:
„ბევრჯელ მშვიდობითამც მოხვალ,
გაზდილო ცოდვა-ჭირითა!
შენმა საგონმა დამლია
და შენზედ ფიქრობამაო;
შენმა მშვიდობით მოსვლამა,
შენმა დაბერებამაო!
ძილი არ მაქვს ძილის ფერი,
მოსვენება ლოგინშია;
თვალები ჩამოვაწყალე
შარათ შენს მოლოდინშია!"
ვეღარა თქვა-რა, ჩაჩუმდა,
მაუმატა ტირილსაო:
ჰკლავდა შავი საგონები
რძლისა მერე შვილისაო,
მოსალოდნი ქერივ-ობრობა
მერე თავის თავისაო.
ფიქრობდა: „ნეტარ რა უთხრა,
ნეტარ რა რიგად ჰჯობისა!"
დუშმანიმც არის გამზდელი
მემრე ერთაის ობლისა!
ეყუდა გაშტერებული,
ყელს ეხვეოდა, ჰკოცნიდა.

თადლაურა

—რად მიბარებდი, მოდიო,
აბა რისათვის გინდოდი?
თუ იტირებდი, მცოდნიყო,
მე აქ არ წამოვიდოდი.
დედავ, რაზედ დამალონებ,
ცრემლს რაზედ ჰღვრი მდუღარესა?
მე რაც უნდა დამემართოს,—
შენ ნუ გნახავ მტირალესა!

დედა

—ძმისწულ რო მაუკვდეს მამიდას...

თადლაურა

— რატო სიმართლეს არ მეტყვი,
სწორედ არ შამატყობინებ?
დღეს-ხვალ რა ბედენა არის,
რაც დროს არ დამაკარგვინებ?
ნადები შენის გულისა
ყინჩა [34]) ვიცი და ვიცოდი;
მე სრულ პირ-წმინდად გავიგე,
ვიდრე შენ რასმე იტყოდი.
ხუმარას ულალატებავ,
ლეკები მაუყვანია;

34) კარგად

იმათ დაუწვავ სახლ-კარი,
ყამარი წაუყვანია.
მტერი რო მამკლავს, წესია,
ჯავრს ჯავრი ებედებაო;
ნეტავი ის-კი ნუ მამკლავს,
ვისგანც არ მამგონდებაო.
ნაწყვეტ-ნაწყვეტმა ღურბლებმა
სამუბლე გადაიარეს;
კასრი [35]) გაკავდა, მელეურთ [36])
გაიარ-გამოიარეს.
თამარიც უჩუმად არის,
სკაპი-სკუპ [37]) ჩამოიარეს.

35) კახსრი მორევია, რომლის ზედაპირი ჰდუღს, ჰშფოთს, არასოდეს მოსვენებაში არ არის, და ხან შეიკვრის, ხან გაიშლება.
36) მელეურა ყანის ან ბალახის ნიავზედ ღელვა; მელეური აგრეთვე ოღეს ან ტბის ლიკლიკა ტალღებსაცა ჰქვიან. ყანას მელეური შიჰდევსო, იტყვიან.
37) შეერილობაში, როცა ერთს უნდა სხვები დაარჩოს და საზოგადო ყურადღება მიიპყროს, იტყვის: სკაპი-სკუპი სკამარასა, ცხენი ჩამოვჰხვიოდაო, მატლი ჩამოჰვდიოდაო; ვინც ჩემს უწინ არქამდება, ჯამში ჩაუდიოდაო. ამას უფრო არაკების თქმის დროს იტყვიან ხოლმე, ან ისე სალაღობოდ, მიღებულია მომეტებულად ქალებში. ვინც დაარღვევს საზოგადო სიჩუმეს, ერთხმად მიაძახებენ: ჩაგიდიოდეს, ჩაგიდიოდეს.

ბევრი ჭირის გადამყრელი
გული აღარ ეგულება;
სამი ოთხს ცეცხლში ჩავარდა,
ენა არ ემორჩილება.
ბელურა „ჭივ-ჭივს" იძახდა,
მერცხალი „ბებერ-ცხონდისა". [38])
ხართხეველ ქალთამზიაი [39])
ჭირის საწყენად მოდისა.
რო ნახა დაძმარებული
დედა ცრემლ-მორეულია;
დობილთან ძოწეულებული
ქალთამზე მორეულია,
უთხრა: „დედავ, ნუ იტირებ,
შენს სულ-ხორცს ვენაცვალები;
წავალ, ისევაც მოგივალ,
ნურაფერს დაგენაღვლები.
დედილას, ქალთამზიაო,
შვილით გაიხარებია,
დედაჩემი, სანამ მოვალ,
შენთვის ჩამიბარებია.
მაგასთან წადი, გენაცვლე,
იქ მელოდე, მშვენიერო!
შენ კიდე ზომე მთა-კუდნი,
ლურჯავ, გზების მეცნიერო!"

(დასასრული იქმნება)

38) ხალხსა ჰგონია, მერცხალი თავის ჭიკჭიკში ბებრებსა ლოცავს, ყმაწვილებს-კი ჰწყევლისო. ის ამბობს, ვითომ „ბებერ-ცხონდი, ბებერ-ცხონდი, ყმაწვილები ჭკვიტ!!"
39) ქალის სახელია.

ბრობას აზრადა ჰქონდეს ვისიმე მტრობა. ეს ტყუილია. ეს მეგობრობა ისეთ ვე ნიშანია მშვიდობიანობისა, როგორც სამთა სახელმწიფოთა კავშირი. გერმანიას ჰგონია, რომ ჩვენ თავ-დასხმას ვუპირებთ და ამიტომ მოკავშირეებს ეძებს. ჩვენ-კი მეგობრობას იმიტომ ვუწევთ რუსეთს, რომ გერმანია არ დაგვესხას თავს. ჩვენ მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ გერმანია, რომელიც მუდამ მშვიდობიანობაზე ჰყვირის, საზღვარზე ისეთს საქმეებს არ მისდევდეს, რომლიც სწორედ იმასა ჰგავს, თითქო ომის გამოცხადება უნდაო.

ჰოლლანდია. «Новости»-ს სწერენ დეპეშით ჰაგიდამ, რომ ჰოლლანდიის პარლამენტისათვის წარუდგენიათ კანონ-პროექტი საზღვრების გამაგრებაზე გერმანიის მხრივაო.

ავსტრი-ვენგრია. ავსტრიაში ძალიან იურმე უხარიანთ, რომ სტამბულოვმა გაიმარჯვა არჩევნების დროსაო.

— სტარო-ჩეხების რეისსრატის მოქმედების დიწყობის უმალვე უკითხნიათ მთავრობისათვის, რად გაუქმა სახალხო განათლების მინისტრმა ზოგიერთი საშუალო სასწავლებელნიო. გაზეთი რიგერისა „Гласъ Народа“ ამბობს, რომ ვურჩევთ მემარჯვენე დასებს ჩვენ მოგვეშველნენ ამ საქმეში, თორემ მთავრობის მომხრეთა უმრავლესობა ვეღარ შესდგებაო.

გერმანია. გაზ. „Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ ბისმარკმა გასცა ბრძანება, არც ერთი რკინის გზამ ფული არ გამოართვათ კრისპის და ეტადეთ, რაც შეიძლოთ, მეტად ასიამოვნოთ ეგ მგზავრიო. ამ სახით, ბისმარკმა არა თუ მოიწვია კრისპი, არამედ ყოველივე მისი ხარჯიც-კი გერმანიას მოახვია თავზე.

— ღვოვში შეკრებულან მრავლად პოლშელი მაგნატები და არისტოკრატები უფრო გალიციიდამ და გადაუწყვეტიათ, რომ შეეწიოთ პოზნანში დაარსებულს ბანკს, შეეშველოთ, რომ პოლშელების მამულები გერმანელების ხელში არ გადავიდესო. შევაგროვოთ პირველ ხანად 1.200,000 მარკა და გავუგზავნოთ ბანკსაო. ამ ფულიდამ 400,000 მარკა უნდა მოგროვდეს ხელის-მოწერით აღმოსავლეთ-რუმელიაში და 800,000 მარკა უნდა დიდმა მემამულეებმა გამოიღონ. გალიციაში ყველგან შესდგა კომიტეტები პოზნანის დასაცველად განემენცებისაგან. შუა-გულ კომიტეტის მოთავეებად არიან გრაფი არტურ პოტოცკი, თავადი ადამ საპეგა და თავადი გიორგი ჩარტორიჟსკი.

# წვრილი ამბები

— პარიჟში ამ უკანასკნელს წლებში ძალიან გავრცელებულა ახალის, გაუჭრელის წიგნებით ვაჭრობა უფრო მცირე ფასით, ვიდრე მაღაზიებში იყიდება. წიგნის მაღაზიების პატრონებმა იანგარიშეს თურმე თავიანთი წიგნები, უნდოდათ გაეგოთ, ჩვენ ხომ არა გვპარავენო, და სრული აღმოაჩნდათ. მაშინ დაუწყეს თურმე მიზეზის ძებნა იმ გარემოებას, თუ საიდგან ჩნდება ეს ახალი გამონაცემი წიგნები, ვინ აძლევთ, რომ ასე ნახევარ ფასადა ჰყიდიანო. ბოლოს მიზეზიც უპოვნიათ და დამნაშავეებად მესტამბეები აღმოჩენილან. ეს წვრილ-ფეხა წიგნის გაჭრები მესტამბეებისაგანა ყიდულობენ თურმე წიგნებს დაბეჭდვის შემდეგ ნახევარ ფასად და მერე თითონა ჰყიდიან მცირე მოგებით. ეს საქმე სასამართლომდე მისულა და სასამართლოს ხუთ წვრილ გაჭრისათვის 4 წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია, 190 მესტამბეში 50-სათვის სხვა-და-სხვა ხნით ციხეშივე დაპატიმრება გადაუწყვეტია, ხუთი გაუმართლებია, 45 კაცის წინააღმდეგ გამოძიება სწარმოებს და 50 მესტამბეს-კი გეშს, დასამტკიცებელს საბუთებს უძებნიან დამნაშავობისას. ერთს მესტამბეს უთქვამს, რომ სტამბის პატრონებს ნება აქვთ ყოველ ახალ წიგნისა, რომელიც-კი იმათს სტამბაში იბეჭდება, რამდენიმე ეგზემპლიარი თავის სასარგებლოდ დაჰბეჭდონ და ამით ამოიგონ წმ. იოანნეს დღესასწაულის ხარჯიო. ეს ადრევე დაკანონებული იყო და „droit de la Chapelle“ ერქვაო. სასამართლოს დაუდგენია, რომ ის დრო წავიდა, როცა ეგ ჩვეულება იყო, და „droit de la Chapelle“-ს ეხლა მხედველობაში ვერ მივიღებთო.

— პარიჟშივე ამას წინად საზოგადო საქმეთა მინისტრის ერედიას თავ-მჯდომარეობით დაუარსებიათ ახალი საზოგადოება ერთმანერთის შველისა და შეწევნისა. ამ გზობაზედ საზოგადოებას ყურადღება მიუქცევია მებჭეთა, ახასთა და მოსამსახურეთა მდგომარეობისათვის. საფრანგეთში სულ 75,000-მდე იქნება მებჭე-მეკარე ქალი და კაცი. საზოგადოებაში თითოეულს წევრს მამაკაცს შეაქვს ყოველ თვე მანათამდე, დედაკაცს ათ შაურამდე და მცირე-წლოვან ყმაწვილებს-კი ერთ აბაზამდე. ამის სამაგიეროდ ავადმყოფ წევრებს შეუძლიანთ მიჰმართონ და წამალი და ექიმობა მოითხოვონ; სიკვდილამდე ჯამაგირსაც უნიშნავს საზოგადოება იმ წევრს, რომელიც მოხუცებულია, 60 წლამდე მისულა და 15 წელიწადი საზოგადოების წევრადა ყოფილა. საზოგადოება განსაკუთრებით შველის მეკარეთა და მებჭეთა ქვრივებსა და აგრეთვე ადგილს უძებნის თავის უადგილო წევრებს.

— მონტე-კაჩეროში, კორრენტას პროვინციაშია, ადგილობრივმა გაზეთმა „ერის მეგობარმა“ გაამჟღავნა თურმე ერთი დაფარული საქმე. ეს გაზეთი ამტკიცებდა, რომ პოლიციის უფროსი და იმის ხელ-ქვეითნი დიდი მოყვარულნი არიან ქალებისა და ძალის-ძალადი თავიანთ სახლში იპატიჟებენ; თუ რომელიმე ქმრიანი, ან ახალგაზდა ქალი არ დაჰყვა იმათს ნებას, ჟანდარმებს უგზავნიან და ძალით მოაყვანინებენ ხოლმეო. გაზეთის რედაქტორს ცილის-წამების ბრალი დაადეს, ციხეში დააპატიმრეს, მაგრამ მაინც არ შეუშინდა თურმე სასჯელს და კვლავ ჰბეჭდავდა თავის გაზეთში ამ ამბებს პოლიციის შესახებ. ამის გამო სასამართლომ გამოძიება დაჰნიშნა და აღმოჩნდა თურმე, რომ გაზეთის ნაამბობი მართალი იყო. დამნაშავე პოლიციის უფროსისა და იმის ხელ-ქვეითთა დაპატიმრება მოიწადინეს, მაგრამ დამნაშავენი გაიქცნენ თურმე. ეხლა არგენტინის გაზეთებს ხელის-მოწერა გამოუცხადებიათ, რათა გაზ. „ერის მეგობარს“ საერთო ხარჯით სტამბა გაუმართონ ყოველისავე მოწყობილობით, და სულ რამდენსამე დღეში 12,000 მან. მოუგროვებიათ.

— რამდენისამე დღის წინად პარიჟში ლუდის გამოფენა იყო გამართული და ოც-დაათ ნაირი ლუდი იყო თურმე გამოფენილი. გამოფენის ანგარიშში პრეზიდენტმა გამოაცხადა თურმე: „მოწყალენო ხელმწიფენო! თუ გინდათ შეიტყოთ, რა დიდ-ძალმა ხალხმაც მიიღო მონაწილეობა ამ გამოფენაში, ამას ამ რიცხვიდგან მიხვდებით: წარმოიდგინეთ, რომ გამოფენის გამართვის პირველსავე საღამოს 754 კაცი დაითვრა ლუდით და ხელით გაიყვანეს ეს ხალხიო“. ამაზედ კარგი დამამტკიცებელი საბუთი განა იქნება-ღა!

# დეპეშა

4 ოქტომბერი

პეტერბურგი. კოროპკოვი, უფროსი თურქესტანის მე-4-ე ბრიგადისა, დაინიშნა ფერგანის სამხედრო გუბერნატორად ივანოვის მაგიერ, რომელიც ავადმყოფობის გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

მერვი. ეიუბ-ხანს მეამბოხეთა თავკაცობა უკისრნია; რუსთ-ავღანის საზღვარზე აჯანყებულან ფირიზკუხნი და ეიუბ-ხანს მიმხრობიან. გაქცეულნი პენჯდეში ამბობენ, ვითომ ეიუბ-ხანის მომხრეები იმის მზადებაში არიან, რომ საერთო ამბოხება მოახდინონ ჰერათის პროვინციასა და თურქესტანის იმ ნაწილში, რომელიც ავღანისტანს ეკუთვნისო.

პარიჟი. იუსტიციის მინისტრმა აცნობა სამხედრო მინისტრს, რომ კაფარელის და ანდლოს გარდა სამხედრო კაცთაგან არავის არ ედება ბრალად ორდენებით ვაჭრობაო.

ნიუ-იორკი. პარასკევს, როცა პრეზიდენტი კლეველანდი რკინის გზით მოგზაურობდა არკანზასის შტატში, ორთქლ-მავალს მაშინისტმა შენიშნა, რომ იწოდა ხის შენობა, რომელზედაც გაყვანილია რკინის გზა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ შენობისათვის განზრახ წაუკიდნიათ ცეცხლი; ამ აზრისანი არიან, იმიტომ-რომ ცეცხლი სხვა-და-სხვა ადგილას გაჩენილიყო.

6 ოქტომბერი

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითა უდიდებულესობანი ჯერჯერობით დანიაში დარჩნენ, რადგანაც მათს უავგუსტოესს შვილებს სუბუქი წითელა გამოაჩნდათ.

ლონდონი. გუშინ 4000-მდე უსაქმოდ დარჩენილმა მუშებმა გაუგზავნეს დეპუტაცია ლორდ-მერსა. ლორდ-მერი შინ არ იყო და დეპუტატები მიიღო ერთ-ერთმა ალდერმანმა, რომელმაც ურჩია — სთხოვეთ დახმარება თქვენის უბანის დაწესებულებასაო. ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა მუშები და ესენი გაემგზავრნენ სიტისაკენ, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა იგინი, შემდეგ ჩხუბისა, რომელშიაც დაიჭრა რამდენიმე მუშა და პოლიციელი.

პეტერბურგის ბირჟა, 29-ს სექტემბერს

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 8 94 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | 269¾ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 247½ |
| გირავნობ. ფურცლნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის ს ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — › | — › | — › |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

7 დღე ოთხშაბათი. წმ. სერგისი და ვაკხოსი. კათოლ. ღვთის-მსახურება წმ. იოსების ყოვლად-წმინდა ქალწულ მარიამზე დანიშნვისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 5—13. მთვარე 3 დღისაა.

8 დღე ხუთშაბათი. ღირს. პელაგიასი და ტაისიასი. კათოლ. წმ. ბირგიტტასი. სომეხ. წ. პანტელეიმონისა და სხ. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 5—11. მთვარე 4 დღისაა.

9 დღე პარასკევი. მოციქ. იაკობ ალფესი, მამა აბრაამისა და ლოტისა. კათოლ. წმ. მოწ. დიონოსიასი, რუსტიკასი და ელევტერიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10. მთვარე 5 დღისაა.

10 დღე შაბათი. წმ. მოწ. ევლამპისა და დისა მისისა ევლამპიასი. ღირს. თეოფილესი და სხ. კათოლ. სამადლობელო ღვთის-მსახურება ხოტინის გამარჯვების სახსოვრად. სომეხ. წმ. მთარგმნელ ვარდაპეტთა სომეხთა: მესროპისა, ეღიშესი და სხვათა. მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—8. მთვარე 6 დღისაა.

11 დღე კვირა. წმ. ფილიპპე მოციქულისა. კათოლ. წმ. ფრანცისკე ბორგიასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თვისა საფარისა, 1305 წ. ჰეჯრისა.—დაიწვა ტფილისის თეატრი, უგანათლებულესს თავ. მ. ს. ვარანცოვის მთავარ-მართებლობის დროს აღშენებული, 1874 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—23, ჩადის 5—7. მთვარე 7 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ღირს. კოსმან მგალობელისა. კათოლ. წმ. ალმსარ. ლიუდოვიკ ბერტრანდელისა. სომეხ. პოვნა ნაწილთა წმ. გრიგოლ ალვანის კათალიკოსისა; წმ. თათლოსი და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—24, ჩადის 5—5. მთვარე 8 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საღამოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლე გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილ გადაზე გემები

კვირაობით, სალამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აგირა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


# კერძო განცხადებანი

ახლად აშენებულ სათავად-აზნაურო ბანკის თეატრთან

იჯარით იძლევა ბუფეტი-რესტორანი.

ვისაც ჰსურთ ბუფეტ-რესტორანის აღება იჯარით, შეუძლიანთ მიჰმართონ ბ-ნს ფორკატტის თეატრის შენობაში დილის 10—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე ყოველ დღე. ბუფეტი და თეატრი გაიხსნება ამ თვის ბოლოს, 1 ნოემბერს. (1—1)

ნაფიცი ვექილი

სერგეი ვასილის ძე ჩემესოვი

გადავიდა არსენალის ქუჩაზედ, გორბუნოვის სახლებში, მე-66 №-ში, ძველის კრუჟოკის უკან. (6—5)

ქართული სალიტერატურო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში კილაძესთან.

ეს ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა

ს. მგალობლიშვილისა

I მეურვეაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.


Доз. цен. Тиф. 6 окттября. 1887 г. Типографія Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე